პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИН. ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ივლისი სამშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 164 (15985)

„სალუტ-3“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 14 ივლისი. (საკდისი). დღეს 2 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით დამთავრდა პავლე პოპოვიჩისა და იური არტიუხინის მეექვსე სამეცნიერო დღე „სალუტ-3“ ორბიტულ პილოტირებულ სადგურში.

ასრულებენ რა მუშაობის დასახულ პროგრამას, კოსმონავტები [illegible] დედამიწის ზედაპირზე დამახასიათებელი გეოლოგიურ-მორფოლოგიური წარმონაქმნების ფოტოგადაღებას. გადაღება წარმოებდა [illegible] პუბლიკებისა და ქამირის მთისა და ბარის ფრაქტურებსა [illegible] ცემების გამოყენება შეიძლება ისეთი დიდმნიშვნელოვანი. სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, როგორიც არის გეოლოგიური სტრუქტურების შესწავლა სასარგებლო წიაღისეულის ხაიციზლად. პერსპექტიული ფართობების გამოვლინებისათვის; დამლაშებული მიწების გამოვლენა და აღრიცხვა; ნიადაგის პერსპექტიული რეზურსების კვლევა, ყინულების მოძრაობის მდგომარეობის შესწავლა და პროგნოზირება.

სხეის მართვის სისტემათა შემდგომი სრულყოფის მიზნით სრულდებოდა ეკსპერიმენტები სადგურში შემავალი „სოიუზ-14“ სატრანსპორტო ხომალდზე. კოსმონავტებმა შეამოწმეს მზისა და პლანეტების მიხედვით ორიენტაციის ასალი ხელსაწყო და შეასრულეს მთელი რიგი შუქტექნიკური გაზომვანი ორბიტაზე ხომალდის ორიენტაციის რეჟიმების გამოყენების საზღვრების დასაზუსტებლად.

სადგურიდან მიღებული მოხსენებებისა და სამედიცინო ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად პავლე პოპოვიჩი და იური არტიუხინი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობენ.

სადგური „სალუტ-3“ განაგრძობს ფრენას.

ფრენის მართვის ცენტრი, 15 ივლისი. (საკდისი). მომდევნო დღის პროგრამით მუშაობისას „სალუტ-3“ პილოტირებულ სამეცნიერო სადგურში პავლე პოპოვიჩი და იური არტიუხინი განაგრძობდნენ დედამიწის ზედაპირზე დამახასიათებელი გეოლოგიურ-მორფოლოგიურ წარმონაქმნებზე დაკვირვებასა და ფოტოგრაფირებას. ამ დროს მიღებული კავკასიის რაიონებისა და უსტიურკის პლატოს სურათებს გამოიყენებენ ზედაპირის ნაწილის გეოლოგიური აგებულების შესასწავლად, აგროსამელიორაციო ღონისძიებათა გასაკონტროლებლად, ტყის რეზურსების გასთვალისწინებლად, ზღვის სანაპირო ზოლის შეცვლის დინამიკის შესასწავლად, აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად.

სპეციალური აპარატურის საშუალებით მიმდინარეობდა ერთ-ერთ სპექტრულ ოლქში ზედა ატმოსფეროს ღრუბლისა და ბინდის ნათების კვლევა. ეკსპერიმენტის მიზანია მზისა და გეომაგნიტური აქტივობის სხვადასხვა პირობებში ზედა ატმოსფეროში ენერგიის განაწილებისა და გარდაქმნის პროცესების შემდგომი შესწავლა.

სამედიცინო ეკსპერიმენტების პროგრამით მრავალფუნქციური აპარატურის „პოლინომ-28“-ის საშუალებით კოსმონავტებმა მოაწყვეს გულისა და სისხლძარღვთა სისტემის კომპლექსური კვლევის მორიგი ციკლი. ეკიპაჟის მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის შეფასებისა და პროგნოზირებისათვის მოეწყო ფუნქციური სინჯი კომპლექსურ ტრენაჟერში დოზირებული ფიზიკური დატვირთვის გამოყენებით.

სადგურიდან მიღებული მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად ამხანაგები პოპოვიჩი და არტიუხინი თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-3“ სადგურის ფრენა გრძელდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკაში პროფექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ეწევა დიდ და მიზანდასახულ მუშაობას პარტიის XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა, თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესრულებისათვის. დაძაბულ ბრძოლას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას, საზოგადოების ცალკეულ წევრთა შეგნებაში მავნე გადმონაშთების დაძლევას, უდავოა, მოჰყვა ყველასათვის ცხადი დადებითი შედეგები.

ეკონომიკაში დადებითი ტენდენციების წარმოქმნასთან ერთად ნათლად ვხედავთ საზოგადოებრივი ცხოვრების ხფერიდან ქცევის ნაბეჭოთა წესთან, სოციალისტურ ყოფასა და საერთო ცხოვრებასთან შეუთავსებელი მოვლენების აქტიური გამოდევნის პროცესს, რომელიც სულ უფრო ღრმავდება და ფართოვდება.

სოციალიზმისადმი ისეთი ანტაპოდური მოვლენები, როგორიც არის მექრთამეობა, ქურდობა, საზოგადოებრივი დოვლათის მითვისება, ადამიანის ღირსების ხელყოფა და სხვა, ისჯება საბჭოთა კანონით და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოება შეიარაღებულია. ამასთანავე ცხოვრებაში ჯერ კიდევ გვხვდება სოციალისტური ბუნებისათვის უცხო მოვლენები, რომლთა მიმართ გათვალისწინებული არ არის სისტემასთან მარტლებრივი პასუხისმგებლობა და რომლებსაც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტების, კომუნისტთა სიფხიზლის მოდუნების, ცალკეულ ხელმძღვანელთა არათანმგანზებულობისა და უპასუხისმგებლობის პირობებში შეუძლიათ სერიოზული ზიანი მიაყენონ როგორც სახალხო მეურნეობას, ისე კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის საფუძველზე ადამიანთა შეგნების ჩამოყალიბებასაც.

ერთ-ერთი ასეთი ყველაზე გავრცელებული და მავნე მოვლენაა პროტექციონიზმი, როგორც გადატანებული, ექსპლოატატორული, მჭონებელი კლასების პრივილეგიათა სისტემის გადმონაშთი, სისტემისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა.

ნეგატიურმა ტენდენციებმა, რომელთა ლიკვიდაციისათვის რესპუბლიკის პარტორგანიზაციას მოუწოდა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილებაში, წარმოშვეს რესპუბლიკაში პროტექციონიზმის გავრცელებისათვის ხელშემწყობი პირობები.

პროტექციონიზმი, რომელიც წარსულში ფართო მასშტაბით იყო გავრცელებული, ახლაც ზიანს აყენებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს. რესპუბლიკაში შეიქმნა სიტუაცია, რომლის დროსაც პროტექციონიზმს არ განიხილავდნენ ანტაგონისტურ, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, არ აშიშვლებდნენ მის ფესვებს, არ ავლენდნენ სოციალიზმის დროს მისი არსებობის ნამდვილ მიზეზებს, რომლებიც ქმნიდნენ საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების შებღალვის პირობებს.

პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტები, ბევრი შრომითი კოლექტივი ხათანადოდ არ გმობდნენ მფარველობას, იმას, როცა სხვადასხვა საქმის მოგვარებას ხელს უწყობდნენ მათი, ამ საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის კანონით დადგენილი წესის დარღვევით, რაც უნდა მივიწიწოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის უქონლობის, პრინციპულობის მოდუნების, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი კომუნისტთა ერთი ნაწილის გულგრილი დამოკიდებულების, მათ მიერ მებრძოლის თვისებების დაკარგვის პირდაპირ შედეგად.

პროტექციონიზმი ყველაზე უფრო ხშირად დაკავშირებულია ხელისუფლების არასწორ, ანგარებით გამოყენებასთან. ამას დამოკიდებლად ამტკიცებენ ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ პროტექციონიზმი რესპუბლიკაში ინერგებოდა ზემოდან ხელმძღვანელი ორგანოებისა და სხვადასხვა მასშტაბის მუშაკთა წაურუებით, ბევრ შემთხვევაში მათი აქტიური მონაწილეობით.

პროტექციის განხორციელება ადგილდებოდა პარტიული დემოკრატიის, ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის უგულებელყოფის პირობებში.

პროტექციონიზმში უწინარეს ყოვლისა მახინჯი ასახვა ჰპოვეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრების შერჩევისა და განაწილების, დაწინაურების ლენინური პრინციპებიდან უხეშმა გადახვევებმა.

ახლო წარსულში ხაშმე იქამდე მიდიოდა, რომ გავლენიანი ხაქმოსნები და კომბინატორები პროტექციას უწევდნენ უღირს პირებს სამუშაოზე მოწყობისათვის ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებშიც კი, სამსახურში დაწინაურებისათვის, არის იმის ფაქტები, როცა პროტექციას ენიჭებოდა შინაარსი ქრთამის ფორმა, რადგან, იძენდნენ რა პასუხსაგებ თანამდებობას, ძალასა და გავლენას, ეს პირნი ვალში არ რჩებოდნენ თავიანთი პროტექტორების წინაშე. მორალურ და სხვა მხარდაჭერას უწევდნენ მათ.

პროტექციის „სასწაულმოქმედ“ ძალას სრულიად დაუმსახურებლად ადამიანები რაკომენდის მდივნებისა და რაიალმასკომების თავჯდომარეების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების რანგშიც კი აჰყავდა.

პროტექციონიზმის საშიშროებას ალრმავებს ის, რომ მას ერთი შეხედვით ხშირად უწყინარი ნიღაბი აქვს. ამიტომ იგი ადუნებს საზოგადოებრივ სიფხიზლეს და ამით ფეხს იკიდებს დაბეგვრაში, მომარაგებაში, კაპიტალდაბანდებათა განაწილებაში, მეცნიერების მთელ რიგ დარგებში, უმაღლეს სასწავლებლებში. მომსახურების ხფერიოში, საპენსიო საქმეში და ა. შ.

პროტექციონიზმში თავს იყრის ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთი ანომალიური მოვლენები, როგორიც არის ძმაბიჭობა, თვისტომობა, ნათლიმამობა და ა. შ. ამიტომ იგი ნიჭის, შრომისმოყვარეობის, პატიოსნებისა და სამართლიანობის მტერია.

პროტექცია კიდევ იმითაც არის საშიში, რომ იგი არა მარტო ეფექტიანობისა და მოშვებულობის შედეგია, არამედ თვითონაც წარმოშობს უკიტროლობისა და ყოვლისმპატიების ატმოსფეროს, ცალკეული მუშაკების და იმ კოლექტივების გარშემო, რომლებსაც ისინი უდგანან ხათავეში, ცალკეული რაიონებისა და ქალაქების გარშემოც კი. ამის დამადასტურებელი ფაქტები აღშფოთებით აღნიშნეს დელეგატებმა ბევრ რაიონულ და საქალაქო პარტკონფერენციაზე.

პროტექციის ნიადაგზე ხშირად იქმნება ისეთი არაჯანსაღი, მავნე სიტუაცია, როცა სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა თუ ლიტერატურისა და ხელოვნებისა ამა თუ იმ დარგში მკვიდრდება იმ ცალკეული ავტორიტეტებისა თუ მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე პირების შეხედულებების, ზოგჯერ დოგმატური, მცდარი შეხედულებების, მონოპოლია, რომელთა საქციელი და გადაწყვეტილებანი ცხადდება აბსოლუტად და ყველას, ვინც გაბედავს და ხმას ამაღლებს აზრისა და შეხედულების მონოპოლიათა წინააღმდეგ, ხდევნიან, ლაშის კანონგარეშე აცხადებენ. ასეთი მდგომარეობა იქმნებოდა მთელი რიგი წლების მანძილზე საბოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნის პრობლემის გადაწყვეტისას, რაშიც ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, მეხი მთელი რიგი დარგების წინსვლას.

ჩაყენ მაგალითი იმისა, თუ რა მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მოჰყვეს აუალგავ და დაკანონებულ პროტექციონიზმს, არის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის, მისი ყოფილი რექტორის გელეხანიანის და პარტკომის ყოფილი მდივნის ხარალიძის ახლო წარსული. ფართოდ იყენებდნენ რა ცენტრალური კომიტეტის ცალკეული ყოფილი ხელმძღვანელებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი იმ წევრის თავისი შედეგებით დანაშაულებრივ მფარველობას, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობით უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდობის შერჩევის დროს წესრიგის და სამართლიანობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა ყოფილიყვნენ, გელეხანიანმა და მისმა ჯგუფმა მძიმე ტრავმა მიაყენეს ათასობით ადამიანის ფსიქიკას, დამლუპველ გავლენას ახდენდნენ ახალგაზრდობის აღზრდაზე, გარკვეულ წილად სახელი გაუტეხეს სამედიცინო საზოგადოებრიობას.

შემოწმებამ პროტექციონიზმისა და სხვა დარღვევების ანალოგიური ფაქტები გამოაშკარავა უცხო ენათა ინსტიტუტში, სახელოვნო-სამეურნეო, თეატრალურ ინსტიტუტებში, ზოგიერთ სპეციალურ სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებშიც კი.

ამით აიხსნება უწინარეს ყოვლისა ის, რომ ბევრი სუსტად მომზადებული, არაკვალიფიციური სპეციალისტი მუშაობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. არის მეცნიერული კადრების მომზადებაში პროტექციონიზმის არაერთი ფაქტი, რაც იმით გამოიხატა, რომ, არსებულნი დებულების საწინააღმდეგოდ, პერსონალურად გამოყოფდნენ ადგილებს ასპირანტურაში და მასში ულირსებს ჩრიცხავდნენ ხოლმე, არის სადოსერტაციო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის მთელი პროცესის დროს ლიბერალიზმისა და ძმაბიჭური გარიგების ფაქტები.

პროტექციონიზმი რუვნის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის ზნეს, წარმოშობს ცინიზმს, ნიჰილიზმს, ხსვისი შრომის პროდუქტისადმი და საერთოდ უფროს თაობათა დამსახურებისადმი უპატიცემლობას ერთ ნაწილში, ზერეიერობას; მომხმარებლური განწყობილებას; პარაზიტული ცხოვრებისადმი მისწრაფებას — მეორე ნაწილში. ცალკეული ახალგაზრდა ადამიანების შეგნებაზე გავრცელებული ზემოქმედება ვლინდებოდა აგრეთვე სამსახურში ოფლი დაწინაურებისადმი მათი არაჯანსაღი მისწრაფებით, კარიერიზმით.

პროტექციონიზმის დიდი მასშტაბი არყევს მასების ნდობას ამა თუ იმ საბჭოთა ორგანოსა თუ დაწესებულებისადმი, მათი ხელმძღვანელებისადმი. ნაცვლად იმისა, რომ შედეგიანად შეუწყონ ხელი პროტექციონიზმის ამოძირკვას, ზოგიერთი ხელმძღვანელი ორგანო ზოგჯერ თვითონ ექცევა მისი გავლენის ქვეშ.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პროტექციონიზმი ზოგჯერ ხელს უწყობს საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს, რომლებიც ჯერ კიდევ არის სამინისტროებისა და უწყებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში.

უნდა ვიხელმძღვანელოთ დებულებით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა ამმრჩევლებთან შეხვედრაზე 1974 წლის 14 ივნისს იმის შესახებ, რომ „აშკარა ხეპრეს და საქმის გამჭიანურებელს ახლა უკვე ალარ აქვს იმდენი გასაჭანი. მაგრამ, რაც უფრო უჭირს ბიუროკრატს ჩვენს საზოგადოებასთან შეგუება, მით უფრო იწყებს და ახლებურად ინიღბება იგი. არსი კი წინანდელი რჩება — საქმე მსხვერპლად ეწირება ფორმას, დავიწყებას ეძლევა ხელმწიფოს. საზოგადოების, ადამიანთა ინტერესები უწყებრივი და ვიწრო —ადგილობრივი ინტერესების გულისათვის“.

არაობერატიულობა, მოუქნელობა საქმის წარმოებაში, გულგრილობა მოქალაქეთა საჭიროებებისადმი წარმოშობს და განაგრძობს ეჭვს მასებში, რომ უპროტექციოთ ძნელია ან სულაც შეუძლებელია მიიღწიო სახელოვნელ შედეგს მოთხოვნათა სრული კანონიერების დროსაც კი.

მავნე, ხელმძღვანელის ღირსების დამამცირებელმა პრაქტიკამ, როცა მას „არ შეუძლია“ უარი უთხრას ადამიანს თხოვნის შესრულებაზე, თუნდაც იგი არაკანონიერი თუ დაუსაბუთებელია. ღრმად ანიდგა თესვები. განსაკუთრებით შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში (წიგნის გამოცემა, საიუბილეო საღამოები, ჯილდოზე, სხვადასხვა წოდებაზე წარდგენა და სხვ).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული უურადღება მიაპყრო იმას, რომ ამჟამადაც ისეთ პირობებში, როცა უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ, ნობის ამაღლების კონკრეტული რეკომენდაციების დამუშავება, ამასთან ფართოდ გამოიყენონ სოციოლოგიური კვლევისა და ხაზოგადოებრივი აზრის შესწავლის მეთოდი.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის გამონათქვამი ამის შესახებ, რომ „...დეკრეტის გვერდის ავლის თუნდაც ერთი ცდისათვის ადამიანი სამართლში უნდა მივცეთ“, და, ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადოს და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად წარადგინოს წინადადებანი პროტექციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც სერიოზულ ვნებას აყენებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წინადადება მიეცა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი, რათა ამაღლდეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლი პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპის განმტკიცებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფართო მასებმა მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საბჭოების მუშაობისადმი კონტროლში, განუხრელად განხორციელდეს საბჭოთა ადამიანის კონსტიტუციური უფლებები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკის შემოქმედთა კავშირებმა და ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ლიტერატურასა და ხელოვნების მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებების შექმნას, რომლებშიც გამთარახებულია პროტექციონიზმი, როგორც სოციალისტური, საზოგადოებისათვის უცხო მოვლენა და მისი მავნე შედეგები.

პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ უნდა გააძლიერონ სალექციო პროპაგანდა პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ოლტიურის სახლებსა და კლუბებში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში მოწყონ ლექციები, თეორიული კონფერენციები. კითხვა-პასუხის საღამოები კომუნისტური მორალისადან ყოველგვარი გადახვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ უნდა გააშუქონ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, მისი მავნებლობის შესახებ თეორიული გამოსვლების გარდა კონკრეტული მაგალითებით ამხილონ პროტექტორები და მათი პატრონები. შემზნონ საზოგადოებრივი აზრი ყველა იმათ გარშემო, ვინც შეაყრობილია პროტექციონიზმის ხენთ. ამ თემებზე პუბლიკაციების ავტორებად უნდა მივიზიდოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები.

რესპუბლიკის მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავჯდომარეებს, უწყებათა ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ განიხილონ საქმის ვითარება, გააანალიზონ ცენტრალურ აპარატებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პროტექციონიზმის კონკრეტული ფაქტები და გამოსცენ სპეციალური ბრძანებები, რომლებიც გათვალისწინებენ პროტექციის აღმოფხვრის ეფექტიან ღონისძიებებს;

კონკრეტულ დამნაშავეთა პარტიული პასუხისმგებლობის საკითხები განსახილველად უნდა გადაეცეს პარტიის რაიონულ, საქალაქო და ხაოლქო კომიტეტებს.

პროტექციონიზმის, თანასოფელობის, ნათლიმამობის, ერთმანეთის თავდებობისა და სხვა ფაქტები პარტიულმა კომიტეტებმა უნდა განიხილონ როგორც პარტიის საწინააღმდეგო მოთხოვნათა უხეში დარღვევა და უმკაცრესად მოკკითხონ, პარტიის რიგებიდანაც კი გარიცხონ თანამდებობის პირნი, სკკპ წევრები, რომლებიც ამას დაუშვებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ უნდა განიხილონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიულმა კრებებმა.

(საქინფორმი).

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიერ 1974 წლის პირველ ნახევარში ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

	საქართველო შესრულების პროცენტი		აზერბაიჯანი შესრულების პროცენტი		სომხეთი შესრულების პროცენტი	
	1974 წ. I ნახევრის გეგმა	1974 წ. I ნახევრის გეგმა 1973 წ. I ნახევრისთან შედარებით	1974 წ. I ნახევრის გეგმა	1974 წ. I ნახევრის გეგმა 1973 წ. I ნახევრისთან შედარებით	1974 წ. I ნახევრის გეგმა	1974 წ. I ნახევრის გეგმა 1973 წ. I ნახევრისთან შედარებით
რეალიზებული პროდუქციის მოცულობა	103,2	109,4	101,8	110,1	102,7	110,6
მთლიანი პროდუქციის მოცულობა	103,6	110,8	100,9	100,8	103,2	110,8
შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში	103,0	107,9	101,6	107,8	102,8	107,9
შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მრეწველობაში მიღებული პროდუქციის მატება	75,0%		71,8%		66,7%	
ძირითადი ფონდების ამოქმედება (ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე)	80,4	78,8	70,4	90,6	77,3	99,0
კაპიტალური დაბანდებანი (ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე)	93,9	106,5	91,5	105,2	89,2	104,1
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის ექსპლუატაციაში გადაცემა (ცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე)	118,9	94,7	91,6	106,8	92,9	67,8
საკუთარი ძალებით შესრულებული ხაჯარო სამუშაოების საერთო მოცულობა	102,8	108,1	101,6	108,8	100,8	106,3
სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა ზეგეგმიერი დავალების გათვალისწინებით:						
პირუტყვი და ფრინველი	120,5	106,9	113,0	105,0	141,6	107,3
რძე	116,9	108,8	117,0	105,0	101,2	102,5
კვერცხი	101,8	103,5	111,0	105,0	118,5	113,6
მატყლი	114,9	101,6	113,0	100,7	102,4	102,4

ხუთწლედის მოწინავენი

ქიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროში ფართოდ გავიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. დიმიტროველებმა, რომლებიც გრაფიკის გასწრებით მუშაობენ, 12 ივნისს შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა. წლის დამდეგიდან ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოებს გადეგზავნა 3500 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი. შრომის ნაყოფიერება მაღაროში გაიზარდა 10 პროცენტით, შემცირდა მარგანეცის თვითღირებულება.

ხუთიანელი: დიმიტროვის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის მადნის მოწინავე მრეცხავი მარინე ლაბაძე.

ა. მაჰაზარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიული ცხოვრება

რატომ დუმან კომუნისტები?

მაღალი მომთხოვნელობა, ნაკლოვანებათა გაგება მხილება მოთავსრია კარტიულ მუშაობაში

თანამედროვე იტალიის პარტიული-ორგანიზაციული მუშაობა. ყოველი პარტორგანიზაციის საქმიანობა ფასდება იმის მიხედვით, თუ რა გააკეთეს მან XXIV ყრილობის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ XXII ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადწყვეტილებათა შესასრულებლად.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბათუმის პარტიულ ორგანიზაციებში?

როცა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მომავალი მუშაობის გეგმებს ვსაზავთ, ანალიზს ვუკეთებთ და ვითვალისწინებთ განვლილი მუშაობის მიღწევებსა და ხარვეზებს, კერძოდ, განვლილმა ანგარიშგება-არჩევნებმა და ქალაქის კომუნისტთა XXV კონფერენციამ ბევრ რამეზე დაგვაფიქრა.

წარსულის ანალიზმა აშკარად დაგვანახვა, რომ ჩვენს მუშაობაში ბევრი ნაკლია. ამავე დროს იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კომუნისტებმა გაბედულად აღიმაღლეს ხმა. ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კრიტიკული განწყობილება სუფევდა, კიდევ მეტი, ცალკეული პარტიული ორგანიზაციებში კრიტიკა გასცდა ერთი საწარმოს ფარგლებს. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სახელმწიფო თეატრში, გაზეთების „საბჭოთა აჭარისა" და „სოვეტსკაია აჯარიას" რედაქციებში კრებებზე მაგრად გააკრიტიკეს რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელები, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, საქალაქო კომიტეტისა და საბჭოთა ორგანოების ყოფილი და ახლანდელი მუშაკები.

მაგრამ მეტად დამაფიქრებელია უფრო ის, რომ ყველგან როდი გააკეთეს საკრიო დასკვნები, როდი ამხილეს შეცდომები და დარღვევები, ყველგან როდი გაიმართა გულახდილი, პირდაპირი, ბოლშევიკური კამათი. იყო შემთხვევები, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები უმნიშვნელო კრიტიკის ატმოსფეროში ჩატარდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, კომუნისტებმა ნაკლოვანებების მხილებას დუმილი არჩიეს, ხოლო თავიანთი განწყობილება კენჭისყრაში გამოხატეს. მაგალითად, კოფეინის ქარხანაში პარტბიუროს მდივანს ასარჩევად 70 კომუნისტიდან ხმა არ მისცა 24-მა.

განსაკუთრებით საგანგაშო ფაქტების წინაშე აღმოჩნდით ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, სადაც პარტიული კომიტეტის მდივნის კანდიდატურას ხმა მისცა 127 კომუნისტმა, ხოლო წინააღმდეგ — 126. მათ კომუნისტური პირდაპირობა, გამბედაობა არ ეყოთ ტრიბუნიდან ეთქვათ ყველაფერი, რამაც განაპირობა ასეთი დამოკიდებულება, ემხილებინათ პარტიული კომიტეტის მუშაობის ჩრდილოეთი მხარეები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ამ შემთხვევიდან და შეცვალა კანდიდატურა.

უკანასკნელ წლებში ბევრი საგაზეთო წერილი და ოფიციალური დოკუმენტი შეიქმნა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსამშენებლო ქარხანაში შექმნილი ვითარების გამო. დირექტორმა და პარტორგანიზაციის მდივანმა საერთო ენა ვერ გამონახეს კოლექტივთან, დაუპირისპირნენ მას. გასული წლის 27 თებერვალს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსამშენებლო ქარხანაში პარტიულ-სამეურნეო საქმიანობის შესახებ და პარტიული სასჯელები დაადო ქარხნის დირექტორს ა. ბაღათურიას და პარტორგანიზაციის მდივანს ე. მარტიროსიანს. საწარმოში შექმნილ მდგომარეობას ვერც ამ ღონისძიებამ უშველა. საქალაქო კომიტეტმა შეიწყალა აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და 14 ნოემბერს განიხილა იგი ბიუროს სხდომაზე, სადაც აღინიშნა, რომ ე. მარტიროსიანმა და ა. ბაღათურიამ საჭერო დასკვნები ან გამოიტანეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებიდან, არ შესასრულეს, უგულებელყოფს, პრინციპული მსჯელობის საგნად არ აქციეს იგი.

იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო ქარხნის საოანადო ხელმძღვანელობა, დაუშვა წარმოების ორგანიზაციისა და შრომის დაცვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები, უხეშად ეკიდებოდა მუშა-მოსამსახურეებს, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დირექტორი ა. ბაღათურია გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. ასევე პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილების შეუსრულებლობისათვის, პარტიულ-ორგანიზაციისა და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის ქარხნის პარტბიუროს მდივანი ე. მარტიროსიანი მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან და გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

მიღებული გადაწყვეტილების სისწორე საქმით დადასტურდა: ქარხნის განახლებულმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი ნ. ყურმუბაძე, პარტბიუროს მდივანი ა. ისელიძე) სწორი გეზი მისცა კოლექტივის განწყობილებას და ქარხანამ იწყო გამოსვლა კრიზისული მდგომარეობიდან, უკანასკნელი ხუთი თვეა აქ გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო გეგმები, გაჯანსაღდა ატმოსფერო.

იმათთვის, ვინც ნესტიან, უმზეო სარდაფებსა და ბარაკებში ელოდებოდა ახალი, კეთილმოწყობილი ბინების მიღების კანონიერ რიგს, არ შეიძლება ფასი ჰქონდეა ის ხელმძღვანელების სიტყვას, რომლებიც არღვევდნენ, ან ხელს უწყობდნენ კანონიერება დარღვეულიყო. ქალაქში მწვავე საბინაო პრობლემა შეიქმნა. აქ წლების მანძილზე უხეშად ირღვეოდა საცხოვრებელი ბინების განაწილების წესი. ბინებს იღებდა ის კატეგორია პირებისა, ვინც ამ მხრივ განსაკუთრებულ გაჭირვებას არ განიცდიდა. ქალაქში ღღესაც არის კარგამოკეტილი ბინები. ასეთი ფაქტები იწვევდა და იწვევს მშრომელთა გაღიზიანებასა და სამართლიან უკმაყოფილებას.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს — ო. ხალვაშს გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით და გაათავისუფლა იგი. დაკავებული თანამდებობიდან. სანინაო ფონდის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების გამგე ვ. სიხარულიძე აგრეთვე განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან და გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. ბიურომ დასაბა ღონისძიებები, რითაც ბინათგანაწილების საქმეში, გარდა აღრიცხვის რიგისა და დაკანონებული წესებისა, სხვა საზომი კრიტერიუმები არ გვექნება.

აირჩიონ საქალაქო კომიტეტის წევრად ან წევრობის კანდიდატად, სარევიზიო კომისიის წევრად, ასეთი დიდი დაფასება და ნდობა ყოველ კომუნისტს როდი ხვდება წილად. ასეთი დიდი პატივი XXIV საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე 131 კაის ერგო წილად, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა ვერ გაამართლა ეს ნდობა. საანგარიშო პერიოდის მანძილზე საქალაქო კომიტეტის 24 წევრმა დაიმსახურა მკაცრი პარტიული სასჯელი, მაგალითად, ბათუმსურსათვაჭრობის დირექტორი შ. კვეტაძე საანგარიშო პერიოდში სამჯერ დასაჯა, ხოლო ბათუმმრეწვაჭრობის დირექტორი ბ. თოიძე, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე თ. ხალვაში, აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ი. ბოლქვაძე და სხვები — ორჯერ.

პარტიული სასჯელი აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა, ამიტომ ლენინური არ უნდა ვიყოთ იმათ მიმართ, რომლებიც პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას არღვევენ.

სკკპ წესდება არ განსაზღვრავს პარტიული სასჯელის ვადებს. სასჯელის მოხსნა გადაწყდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად გამოსწორდა კომუნისტი, აღმოფხვრა თუ არა ნაკლოვანებანი. ყველას აქვს თუ არა შეგნებული ეს? სამწუხაროდ, არა!

1973 წლის 5 ბაროლს საქართველოს კომპარტიის აჭარის სოლქო კომიტეტის ბიურომ სამინისტროს ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, აგრეთვე აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სამმეთა მმართველად მუშაობის პერიოდში არაპარტიული მოქმედებისათვის, რაც გამოიხატა იმით, რომ ღვინის ქარხანაში სამუშაოდ გაიგზავნა სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის ნასამართლევი მოქალაქე, აჭარის ასსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს გ. გოგიტიძეს „გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა აჭრეთვე ბათუმსუსრსათვაჭრობის დირექტორს შ. კვეტაძეს.

მაგრამ არც გ. გოგიტიძეს, არც შ. კვეტაძეს საჭირო დასკვნა არ გამოუტანიათ ამ პარტიული სასჯელიდან. სისტემაში გაჩდატეხა ვერ მოახდინეს, მიუხედავად ამისა, მვიდი თვის შემდეგ დასვეს პარტიული ორგანიზაციების წინაშე საკითხი სასჯელის მოხსნის შესახებ. პარტიულმა ორგანიზაციებმა „ხათრი ვერ გაუტეხეს" ხელმძღვანელებს: მიიღეს მათი განცხადებები შეწყნარების შესახებ და შუამდგომლობა აღუძრეს პარტიის საქალაქო კომიტეტის წინაშე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პარტორგანიზაციები (მდივნები ნ. ჩაკვეტაძე და შ. კიკბაძიე) პრინციპულად არ მიუდგენ კომუნისტების შ. კვეტაძისა და გ. გოგიტიძის განცხადებების განხილვას, ნაჩქარევად გადაწყვიტეს საკითხი, რისთვისაც მათ საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიუთითა, ხოლო შუამდგომლობანი, რა თქმა უნდა, არ იქნა მიღებული.

რატომ დუმან კომუნისტები? გაბედულად რატომ არ ამხილებენ არსებულ ნაკლოვანებებს? ამ კითხვას მარტივი პასუხით ვერ ამოწურავ.

ოუმან იმიტომ, რომ გადაეჩვევნენ კრიტიკულ გამოსვლებს, გასული წლების თვითმმაყოფილებას განწყობილებამ თავისი ღრმა კვალი დატოვა, გარდა ამისა, ზოგიერთი იმიტომაც დუმს, რომ კრიტიკის შემთხვევაში ელოდება გაკრიკეტული ხელმძღვანელისაგან უკურეაქციას, წლების განმავლობაში უნაყოფო ლაპარაკმა ბევრს განწყობილებაც გაუფუჭა.

ყველა პარტიულ ორგანიზაციასთან ჩვენ ჯერ ისე ახლოს არ მიგსულვართ, რომ ღრმად ჩავწვდეთ თვითეული კომუნისტის ფიქრებს, მისწრაფებებს, განწყობილებას. ამის გაკეთება კი ჩვენი უპირველესი ამოცანაა. სწორედ ამ მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო კომუნისტების სოციოლოგიური გამოკითხვა. კითხვაზე: „რა გიფიქრია ახლანდელ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაზე ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებული ღონისძიებები?" გამოკითხული კომუნისტების. ორმესამედს მიაჩნია, რომ ამაღლდა კომუნისტების აქტივობა და სწორდება ბევრი არსებითი ნაკლი. გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან ყოველი მესამე კომუნისტი თვლის, რომ შედეგები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ზოგიერთი ხელმძღვანელი სიტყვასთან ერთად საქმითაც რომ უჭერდეს მხარს ამ ღონისძიებებს. ეს ანალიზი მტკიცედ მეტყველებს, რომ ყველა პარტორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელს ჯერ კიდევ არ შეუნია განხორციელებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა, ყველა ფეხს ვერ უწყობს დროს, ცხოვრებას. ზოგს არ ძალუძს განტოგრამის ძველი შეხედულებებისაგან, ზოგს კი არა სურს. ძალიან მძიმეა ძველი ცოდვების ტვირთი. კომუნისტთა დუმილის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ამაშიც უნდა ვეძებოთ.

ლაპარაკობენ რა პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, კომუნისტებს ერთი წმინდა მიზანი ამოძრავებდა, სურთ ჩვენი საქმიანობა უფრო ორგანიზებული და მიზანსწრაფული იყოს, სურთ ჩვენი საქმე სულ უკეთ მიდიოდეს. ამიტომ საჭიროდ ვცანით კომუნისტებთან და მშრომელებთან ახლო კონტაქტების დამყარების მიზნით ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს აღმასკომისა და მილიციელების სამსახურების ხელმძღვანელთა მონაწილეობით ღია მიღების ორგანიზაცია. ასეთი მიღებანი მოგაწყეთ ნავთობგადასამუშავებელ, მანქანათსამშენებლო და გემთსამშენებლო ქარხნებში, ელექტროენერგიის საბჭოთა საქალაქო მასშტაბის პრობლემურ საკითხებს. ასეთმა პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ საქალაქო მეურნეობაში მეტი ნაკლოვანებები გვაქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. შემოსული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების მიზნით პრაქტიკაში შემოვიღეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ცალკეული სამსახურების მონაწილეობით ქალაქის კვარტალებისა და რაიონების ყოველკვირეული შემოვლა, ზოგიერთი გადაუჭრელი საკითხის მოსაგვარებლად ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით.

როგორც ზღნიშნული იყო სკკპ XXIV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში, პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან აუმჯობესებდნენ შინაპარტიულ ინფორმაციას, ამაღლებდნენ მის ქმედითობას, ფართოდ იყენებდნენ მას, როგორც ხელმძღვანელობის იარაღს, აღზრდისა და კონტროლის საშუალებას. სწორედ ამ მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტში ყოველთვიურად დგება აპარატის უფროსის მუშაკის მიერ ქალაქის პარტორგანიზაციების მუშაობის შემოწმების გრაფიკი.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი პარტიული ინფორმაციის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ბიურომ გადაწყვიტა პირველადი პარტორგანიზაციების კრებებს საქალაქო კომიტეტის წევრების, წევრობის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრების მონაწილეობით სისტემატურად გააანალიზონ ინფორმაცია საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ პლენუმების შორის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს არჩევითი აქტივის ურთიერთობას პირველად სტატორგანიზაციებთან: ასეთი ინფორმაცია საგრძნობლად ამაღლებს ხელმძღვანელობის კოლეგიტური ორგანოს— ბიუროს როლს, მისი ყველა წევრის პასუხისმგებლობას. ქალაქის მრავალი ათასი კომუნისტის უშუალო კონტროლი ხელს შეგვიწყობს დროულად გამოვავლინოთ და გამოვასწოროთ ხარვეზები, ხელს შეუწყობს საერთო საქმიანობაში თვითეული კომუნისტის მონაწილეობას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ამაღლებასა და განმტკიცებას. კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, ხელს შეუწყობს იმ ატმოსფეროს დაფუძნებას, როცა აღარ დაგვიანდება კითხვა, თუ რატომ დუმან კომუნისტები.

ჩვენი საბრძოლო დევიზია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო მითითება — „გადავაკეთოთ საბჭოთა საქართველო სანიმუშო კომუნისტურ რეაპუბლიკად!" ეს მოწოდება და ის უდიდესი ზარუნვა, რომელიც ერთხელ კიდევ გამოვლინდა XXIV ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, ახალი საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებს. ამ დადგენილებით დასახული ამოცანების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს თვითეული კომუნისტის, თვითეული პატიოსანი ადამიანის მოვალეობა, ინიციატივა და ერთგულება.

ო. მელქაძე,
საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პარტიული ქრონიკა

პირველადი პარტიული ორგანიზაციის დღე

ონი. (საკ. კორ.). დაწყდა „პირველადი პარტიული ორგანიზაციის დღე", რომელიც ეწყობა ყოველი თვის ბოლოს პარასკევს. ეს სიახლე მიზნად ისახავს საქმიანი, პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის, მშრომელთა განწყობილების, საჭიროებისა და მოთხოვნების უკეთ გაცნობას, პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტურ მუშაობაში ნაკლოვანებების დროულად მხილებასა და აღმოფხვრას, ადგილებზე კონსულტაციებს, ლექციების, პოლიტიკური მოხსენებებისა და სემინარების მოწყობას.

უკვე გაფართოებულია მონაწილეობდნენ: რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, არასრულწოვანთა საქმეებს რაიონული კომისიის თავმჯდომარე შ. ჯიხორია, საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი გ. ღამბაშიძე, ჭალის სამუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ლომიძე, რაიონის საამხედრო კომისარი ნ. ივანეიმვილი, საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი რ. ღლონტი და სხვები.

ა. კაპანაძე.

რაიკომის ბიურომ იმსჯელა...

ცხაკაია. (საკ. კორ). მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რაიონის ეკონომიკის განვითარებაში. მაგრამ ამის „ივწყებს ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიურომ თავის სხდომაზე განიხილა რაიონალურან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოყვანა-პატრონობის საკითხი.

ბიუროს აღინიშნა, რომ ამ მხრივ დამდგენებია ფოცხოს, ლეძაძისა და ეკის კოლმეურნეობებში, ხორშის, ნოსირის საბჭოთა მეურნეობებში. ხორშის საბჭოთა მეურნეობაში დაიფუძა 1971 წელს გაშენებული 10 ჰექტარი ტუნგის პლანტაცია, დიდი ვენახისა და ტუნგის პლანტაციებისა სიმეჩხრე. მოუფლელობის გამო დაანგდა დაფნის პლანტაცია და ზოგიც დაიფუძა ნოსირის საბჭოთა მეურნეობაში. არადამაკმაყოფილებელი უფლია ვენახს კოტიანეთის საბჭოთა მეურნეობაში. ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში 1970-1971 წლებში ნიადაგის შეისწავლელად გაეშვებულ 20 ჰექტარი ტუნგი, საიდანაც ნახევარი დაიღუბა.

ახალგაზრდა პლანტაციების მოვლა-დამუშავების საქმეში ანალოგიური მდგომარეობაა უშაფთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობაში და სხვაგან.

პარტიის რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ფიქრები საქართველოს კომუნისტთა წერილის გამო

ყველა პატიოსანმა მშრომელმა ადამიანმა დიდი სიამაყის გრძნობით წაიკითხა საქართველოს კომუნისტთა წერილი, რომელიც მათ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუგზავნეს.

„კომუნისტის" ფურცლებზე ამ წერილის გამო უკვე რამდენიმე მასალა გამოქვეყნდა, რომელთა ავტორები, სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა ასაკის კომუნისტები, ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილების ყოველ პუნქტს, ყოველ პარაგრაფს, ყოველ სტრიქონს და მზად არიან ყველაფერი იღონონ მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ წერილს.

იქნება მეცნიერთა წვლილიც

ქარმაელ მეცნიერთ დიდად აღფრთოვანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ", ხიბლავს ის შრომა, რომელიც დადგენილების შუქზე ესახებათ, და მზად არიან მთელი თავიანთი უნარით, გამოცდილებით, ცოდნითა და ენერგიით ჩაებან მასში.

პარტიის დავალების შეკასრულებთ! პარტიის ბანაწესს განვახორციელებთ! ასეთია ჩვენი — საქართველოს კომუნისტთა პირობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა ხაბჭოსადმი გაგზავნილ წერილში რომ არის გამოხატული. დღეს ყველგან, თვითეულ კოლექტივში მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს, რათა თვითეულმა კომუნისტმა თავისი ღირსეული წვლილი შეტანოს ჩვენი ქვეყნის კომუნისტურ მშენებლობაში.

დადგენილების მიზნები გრანდიოზულია, მათი განხორციელება შესაძლებელია ამაღლების ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას, მეურნეობას, ტექნიკას, კულტურას. განხორციელებას შრომაც დიდი დასჭირდება: თუ ვავითვალისწინებთ თანამედროვე მეცნიერების გავლენას წარმოებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აჩქარების მნიშვნელობას, ადვილად წარმოვიდგენთ რა დიდი წვლილი უნდა ჰქონდეთ ამ შრომაში მეცნიერთა კოლექტივებს, მათ წინ იშლება ასალი ეტაპი ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა,

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲛᲝᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ნ. ვ. პოდგორნიმ და რ. ნიქსონმა დეპეშები გაცვალეს

ᲮᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რიჩარდ მ. ნიქსონს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულწრფელად მოულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო.

ჩვენ უღრმესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, ნათქვამია ნ. ვ. პოდგორნის დეპეშაში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღესი დონის შორიგი შეხვედრის დღიმნიშვნელოვან და ნაყოფიერ შედეგს. შეხვედრის დროს ხელმოწერილი შეთანხმებანი და სხვა დოკუმენტები ახალი მნიშვნელოვანი წვლილია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყნებს შორის სულ სხვადასხვა დარგში ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ დაბეჭდლობის შენელების პროცესის შემდგომი გაღრმავება შეესაბამება როგორც საბჭოთა და ამერიკელი ხალხების, ისე ავრეთვე მსოფლიოს სხვა ხალხების მისწრაფებებსა და ძირეულ ინტერესებს.

სპასუხო დეპეშაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რიჩარდ მ. ნიქსონმა მადლობა გამოთქვა მილოცვისა და კეთილი სურვილებისათვის. ვიზიარებ თქვენს იმედს, ნათქვამია რიჩარდ მ. ნიქსონის დეპეშაში, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესება კვლავაც გაგრძელდა და შეუნელებლად გაგრძელდება. ეს სამსახურს გაუწევს ჩვენი ხალხების მისწრაფებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელს შეუწყობს უფრო სტაბილურ საერთაშორისო წესრიგს.

(საკდესი).

საბჭოთა დელეგაცია გამოემგზავრა

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 15 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზიდან მოსკოვს გამოემგზავრა ხაბეოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კირილინი. დელეგაციაში წარმოწყლეობდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის მუდმივმოქმედი შერეული კომისიის IX სესიაში, რომელიც პარიზში მიმდინარეობდა 10-12 ივლისს.

სამხედრო ამბოხება კვიპროსში

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, დღეს დილაადრიან ეროვნული გვარდიის ნაწილებმა, რომლებიც ბერძენ ოფიცერთა სარდლობას ექვემდებარებიან, მოახდინეს ამბოხება რესპუბლიკის კანონიერად არჩეული პრეზიდენტის არქიეპისკოპოს მაკარიოსის წინააღმდეგ. პრეზიდენტის სასახლის მახლობლად ნიკოზიაში და დედაქალაქის სხვა რაიონებში დაიწყო გასროლა.

როგორც ასოშიეიტედ პრესი ამტკიცებს, პრეზიდენტი მაკარიოსი მოკლულია, მაგრამ, კვიპროსში განლაგებული ფეხრჩოთის რადიოსადგურის ცნობამდე ნათქვამია, რომ არქიეპისკოპოსი მაკარიოსი ცოცხალი დაარჩა და თავი შეაფარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების განლაგებას. პრეზიდენტის სასახლის დაცვა კვლავ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს ეროვნული გვარდიის სატანკო ქვეგანყოფილებს, რომლებიც სასახლეს ქვემეხების ცეცხლს უშენენ. რადიოსადგურის ცნობაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა მაკარიოსმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისმიმართა თხოვნით დაუყოვნებლივ ჩარევის შესახებ.

ნიკოზიაში, ფამაგუსტასა და პაფოსში წარმოებს ბრძოლები ამბოხებულებსა და მთავრობის ეროვნულ ნაწილებსა და ეროვნული ქვეგანყოფილებს შორის. ცენტრალურ რადიოსადგურს, აეროპორტსა და მთავრობის დაწესებულებებს ალყა შემოარტყა ეროვნულმა გვარდიამ. სამხედროთა მიერ გადარეცელებული კომუნიკე შეიცავს მუქარას, რომ ყველა ვინც წინააღმდეგობას გაუწევს ეროვნული გვარდიის მოქმედებას, „დაუყოვნებლივ იქნება დახვრეტილი“.

კვიპროსის სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი კარე სამყაროსთან მთლიანად შეწყვეტილია.

ამ მოვლენების წინ არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა საბერძნეთის მთავრობას მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაეწვია 650 ბერძენი ოფიცერი, რომლებსაც მეთაურთა პოსტები უკავიათ ეროვნულ გვარდიაში. მაკარიოსმა მათ ბრალად დასდო კვიპროსში ძირგამომთხრელ საქმიანობაში პირდაპირი მონაწილეობა და ოკუპაციული საბერძნეთის სამხედრო ფაშისტური ხუნტის ერთგულ ტოტად გამოაცხადა.

ᲐᲗᲔᲜᲘ, 15 ივლისი. (საკდესი). ოფიციალურად ათენი ბმას არ იღებს კვიპროსში მომხდარი ამბების გამო. ეროვნული თავდაცვის შტაბში მეორე დღეს გრძელდება თათბირი საბერძნეთის პრეზიდენტის გენერალ ფ. გიზიკისის თავმჯდომარეობით.

როგორც პრესის ცნობები მოწმობენ, საბერძნეთმა „ოპოზიციურ“ „მიუღებელად“ პრეზიდენტ მაკარიოსის მოთხოვნა ტენდულიდან ბერძენი ოფიცრების გაწვევის შესახებ.

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 15 ივლისი. (საკდესი). კვიპროსის ამბებთან დაკავშირებით დღეს აქ გაიმართა თურქეთის მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი ხელმძღვანელი სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები.

ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ხ. ე. ოზიკმა განაცხადა, რომ თურქეთი არ დაუშვებს არავითარ ცვლილებას კვიპროსის სტატუსში კუნძულზე სამხედრო გადატრიალებასთან დაკავშირებით და არ შეურიგდება ძალას, რომ იგი დააყენონ მომხდარი ფაქტის წინაშე.

ᲖᲐᲠᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 15 ივლისი. (საკდესი). იმოწმებს რა თურქეთის სამხედრო წრეებში მიღებულ ცნობებს იუწყებიან, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ ამზადებულნი.

ᲩᲐᲘᲘᲐ და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის შტაბ-ბინა მახარაძის რაიონის სოფელ ანასეულშია, ათვალწუნებით შეხვდა სოფლის მეურნეობის საკავშირო სამინისტროს გადაწყვეტილებას კომპლექსური საცდელი სადგურის შექმნისა და ინსტიტუტისაგან მისი ცალკე გამოყოფის შესახებ და დარწმუნების ყველა საშუალებას მიმართა ძველი, ბრძანებისწინანდელი მდგომარეობის აღსადგენად.

რა იყო მიზეზი ზემოთხსენებულ პირთა ასეთი გამეცდინებისა? უთუოდ ის, რომ საცდელი სადგურის მუშაობის კომპლექსური ხასიათი და გაქანება თავისი მნიშვნელობით უკვე შორს სცილდებოდა სადგურის შესაძლებლობის ფარგლებს და ნებით თუ უნებლიეთ იქმნებოდა ნიადაგი კოლხეთის ათვისების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასაარსებლად...

ამუშავდნენ ისინი, ვისაც ეს დიდ უბედურებად და უკვე არსებული ინსტიტუტის ინტერესების ხელყოფად მოაჩნდა, იპოვნეს ერთგული მსარდამჭერი რესპუბლიკის ყოფილ ხელმძღვანელობაში და, ჰი საკვირველებავ, შესძლეს კიდეკიც წაღმა დაბრუნებული წისქვილის უკუღმა შემოტრიალება: დაიწერა ახალი ბრძანება. ხუთი თვის შემდეგ, დღიდან გამოყოფისა, სადგური კვლავ ინსტიტუტის წიაღს დაუბრუნდა! მას დაუყოფებლივ, პირველსავე დღეს, ჩამოერთვა სუფსის ექსპერიმენტული ბაზა ანაზუთის რაიონის სოფელ ხემაღალში, კვლავ შეიზღუდა მეცნიერული კვლევის ფარგლები და თემატიკა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ უგულვებელყოფ თავისივე სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება ინის შესახებ, რომ ჩაის კულტურასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული შესწავლა, რასაც საცდელმა სადგურმა წლები მოანდომა, კვლავ მას გაეგრძელებინა და არა ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალს, რომელსაც სხვა, კოლხეთის არადაბლობი ზონის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები შესწავლა აქვს დაკისრებული...

მხარემ, რომელმაც გაკვლენიანი პპის შემწეობითა და აშკარა მფარველობით თავისი გაიტანა, ესეც არ იკმარა. სადგურს რვეზინა დაკვა. ეძებდნენ მამხილებელ მასალებს მისი მესვეურების წინააღმდეგ, ასე გასინჯეთ, აწ უკვე ჩამორთმეულ საცდელ ნაკვეთში, როცა მითვისება ან რომელიმე სხვა ბოროტმოქმედება ვერ აღმოაჩინეს, ნაკლეკიკ კი გადასწორეს

მაგრამ რა მოსდიოდა ამით საქმეს? მხოლოდ და მხოლოდ აუნაზღაურებელი ზარალი.

კარი გავაღე. ჩემს წინ წარმოსდგა ბალალი, პირხმელი, კოლხეთის მზით სახეშერეული, სპორტსმენური აგებულების ჭარმაგი კაცი, რომლის დინჯი სიტყვა-ბასუხი და აუჩქარებელი მიხვრა-მოხვრა აშკარად გეუბნებოდთ, რომ ორივე ფეხით მაგრად იდგა მშობლიურ ნიადაგზე.

დავიბენი. აღარ ვიცოდი, საუბარი საიდან და რით დამეწყო.

— აბაშაში ვინ უნდა ვნახოთ? — მკითხა მან, როცა მანქანაში გჯდებოდით, და კარი შემოიკეტა.

— მინდა რაიკომის პირველი მდივანი გურამ მგელაძე მოვინახულო.

— თუ დაგვხვდა... გურამი ძალიან ადრე გადის ნაკვეთებში. დილას ხუთზე დგება. გუშინ ნინასწარ უნდა დაგვერეკა.

— გრიგოლ არჩაიამაც მირჩია, მაგრამ... რაინს გარეთ საღ წვავ, საღმე ვიპოვნით. მარშან შემოდგომაზე ვიყავი აბაშაში, ჩვენი სახელოვანი პოეტის სიმონ ჩიქოვანის ხსოვნის დღეები იყო.

— ჰო, — ალექსანდრე მოწვრილიამ სიტყვა ჩამომართვა. — სიმონი ხომ აკაურია, ნაესაკოელი...

— აბაშელები სიმინდს ტენდნენ. მგელაძემ სწორედ მაშინ ახსენა ანჯარის მიწები. მახსოვს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მადლიერმ იყო — ღრი არ დაიშურა, ჩამოვიდა და რიონს გადაღმა გადაკარგული ანჯარის მასივის დასათვალიერებლად გამყვაო. მე სადღაც ქვეყნიერების კიდეზე, თითქმის სხვა კონტინენტზე წარმოვიდგინე ანჯარის მიწები. აბაშიდან მართლა ასე შორია?

— როგორ გითხრათ, ჩვენნი, საქართველოში, მითუმეტეს აქ, კოლხეთის დაბლობზე, საეროდ არ არსებობს დიდი მანძილები. ფოთიდან გამოსული მარჯვე მძღოლი, თუ წამიდარი ბოა არსად შეხვდა. ერთ საათში ქუთაისშია ამოყოფს თავს. ეს არის მანძილი? ანჯარის მიწები, თქვენ უკვე გეცოდინათ, რიონს გაღმა, მარცხენა ნაპირზეა. აბაშის რაიონის რომელმე სოფლიდან რომ იქ წასვიდე, სამტრედიის გზას უნდა დაადგე, უზარმაზარი რკალი გაკეთო, საჯაგაროს ხიდზე გადასვიდე და იქიდან უკან, რიონის ნაპირ-ნაპირ, უკან გამობრუნდე, სამოცდაათ კილომეტრზე მეტია. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ გალმა გზა არ არის, დავინახავთ, როგორ ჭირს იქ მუშახელის მიყვანა და საღამოს ისევ უკან გამობრუნება.

— როგორ, იქ სოფლები არ არის თუ?

— არის სამი სოფელი, ერთი პატარა კოლმეურნეობა, მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში. ანჯარის ხუთი ათას ჰექტარ მიწას ერთი პატარა კოლმეურნეობა რას გასწვდება!

— გურამი, მახსოვს, ანჯარზე დიდ იმედს ამყარებდა. რაიონის მთავარ ბელოდ უნდა იქცეულო, აბბობდა, რესპუბლიკის მთავრობასა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში წინადადებითა და მოთხოვნებითაც კი შევიდა მოჰყვა ამას რამე?

— მოჰყვა, როგორ არ მოჰყვა! უკვე მიღებულია მთავრობის გადაწყვეტილება, რიონზე ახალ ხიდს ამენებენ, რომელიც წყალეღმა მდებარე, მაგრამ რაინონდან მაინც ასე დამორებულ მიწებს რამდენიმე ათეული კილომეტრით მოაახლოებს. ამ ხიდის ამენებით სხვა მომჯობინებე რაიონებიც არიან დაინტერესებული. რამდენიმე საქმე ერთად კეთდება. ანჯარი თითქმის მთლიანად ნაჭაობარია, რამდენჯერ თვით რიონს დაუტბორავს. ჩაი იქ არ ვარგობს. სამაგიეროდ, სამინდისა და ეთერზეთოვანი ტექნიკური კულტურების საარაკო მოსავალი მოდის...

— როგორ გაამართლა კოლმეურნის შრომის ანაზღაურების ახალმა წესმა, აქ რომ შარშან პირველად დაინერგა?

ალექსანდრე მოწვრილიან გაბალისდა. უთუოდ არ ეგონა, თუ აბაშის რაიონის სამეურნეო საქმიანობის შინაურ ამბებში ასეთუ ისე გარკვეული ვიყავი. შარშან რაიონში სიმინდისა და ეთერზეთოვანი კულტურების არნახული მოსავალი მოიყვანეს. ბეღლები და სასიმინდეები ჭიანჭველს ვერ იტევდა. დღემდე აქ არც მინდვრებში გამოფენილი და ყანებსა და პლანტაციებს ერთად მოდებული ამდენი ხალხი ენახა ვისმე. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბავშვი თუ მოხუცებული მინდორში გამოვიდა. სადაც კი მეურნეს ხელი მიუწვდა, დაუმუშავებლად ერთი თოხისპირი მიწაც არ მიუტოვებია. რაიონს აქედან დიდი ხნის წასულმა მისმა შვილებმაც მოაკითხეს და ტრაქტორს კვალში ჩაუდგნენ. კვლავ ბიბლი ხალხით ჯერ კიდევ ბუნონ დაცარიელებული სოფლები, კვლავ იმატა გამრჯე ვლების მარჯვენით მოწეულმა ხვავმა და ბარაქამ!

რა მოხდა ისეთი? რით მოხერხდა აბაშაში იმის გაკეთება, რაც სხვაგან, მრავალი ათეული წლის მანძილზე, მხოლოდ განუზომელებელი ბუნდოვანი ოცნების საგანი იყო? მშრომელი ვლეკაცის კეთილდღეობაზე ყოველდღიური ზრუნვით, ფხიზელი და მართებული შეგნებით, რომ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის სწორი ორგანიზაცია, ანაზღაურების გონივრული ფორმების შემოღება, რომელიც სახელმწიფოსაც ასარგებლებს და მწარმოებელსაც აგრეთვე დიდ სარგას მოუტანს, უხვი და მყარი მოსავლის საფუძველთა საფუძველია.

მაინც რას წარმოადგენს მატერიალური ანაზღაურების ეს ახალი ფორმა? რით განსხვავდება იგი ანაზღაურების ძველი ფორმებისაგან?

დადგინდა, რომ კოლმეურნეებსა და მუშებს, ყველას, ვინც მიწის დამუშავებას მოისურვებდა, თუ ისინი გაპიროვნებულ ნაკვეთში მოსავლის გეგმას შეასრულებდნენ, პრემია-დანამატს სახით გეგმის ზევით მოსცემდათ გეგმიური პროდუქციის მეათედი, ხოლო თუ გეგმას გადააჭარბებდნენ, გეგმის ზევით მიღებული მოსავლის 70 პროცენტი, თითქმის სამი მეოთხედი!

მიზანი ორი იყო: მოეზიდათ დაინტერესებული მუშახელი და გაედიდებინათ სიმინდის მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე. ამ გზით სახელმწიფო დაზღაურების გეგმაც წარმატებით შესრულდებოდა, მარცვლეულის მაგრამ რაინონდან მაინც ასე დამორებულ მიწებს რამდენიმე ათეული კილომეტრით მოაახლოებს. ამ ხიდის ამენებით სხვა მომჯობინებე რაიონებიც არიან დაინტერესებული. რამდენიმე საქმე ერთად კეთდება. ანჯარი თითქმის მთლიანად ნაჭაობარია, რამდენჯერ თვით რიონს დაუტბორავს. ჩაი იქ არ ვარგობს. სამაგიეროდ, სამინდისა და ეთერზეთოვანი ტექნიკური კულტურების საარაკო მოსავალი მოდის...

— როგორ გაამართლა კოლმეურნის შრომის ანაზღაურების ახალმა წესმა, აქ რომ შარშან პირველად დაინერგა?

ალექსანდრე მოწვრილიან გაბალისდა. უთუოდ არ ეგონა, თუ აბაშის რაიონის სამეურნეო საქმიანობის შინაურ ამბებში ასეთუ ისე გარკვეული ვიყავი. შარშან რაიონში სიმინდისა და ეთერზეთოვანი კულტურების არნახული მოსავალი მოიყვანეს. ბეღლები და სასიმინდეები ჭიანჭველს ვერ იტევდა. დღემდე აქ არც მინდვრებში გამოფენილი და ყანებსა და პლანტაციებს ერთად მოდებული ამდენი ხალხი ენახა ვისმე. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბავშვი თუ მოხუცებული მინდორში გამოვიდა. სადაც კი მეურნეს ხელი მიუწვდა, დაუმუშავებლად ერთი თოხისპირი მიწაც არ მიუტოვებია. რაინს აქედან დიდი ხნის წასულმა მისმა შვილებმაც მოაკითხეს და ტრაქტორს კვალში ჩაუდგნენ. კვლავ ბიბლი ხალხით ჯერ კიდევ ბუნონ დაცარიელებული სოფლები, კვლავ იმატა გამრჯე ვლების მარჯვენით მოწეულმა ხვავმა და ბარაქამ!

— ალექსანდრე, ეს ამბავი ადრე ან გვიან ბოლოს ეცოდინებოდა ყველა, ვინც ამ ადგილებზე ცხოვრობ. ეს ამბავი ბოლოს ეცოდინებოდა ალბათ ბევრ ადგილზე

(დასასრული)

მაცალე, მე ვიცი ჩემი საქმე. მივუზომეთ. წელს იმ ნაკვეთებში დათესა სიმინდი. არ ვიცი, რა ჯადო აქვს ამ კაცს. სიმინდს წელს უკეთესი პირი უჩანს. მთელი რაიონი დაიარება მისი ნახელავი ყანის ხანახავად. აი, მივედით კიდეც! არ არის, ხომ ვთქვი...

— მაგრამ, სამაგიეროდ... — ხმაში ფარული სიამაყით თქვა ალექსანდრე მოწერელიამ და მართლაცდა სანაქებოდ მოფეთლილ სიმინდის ყანას გაწვდილი ხელი მოატარა. ლარტყის ქიმერის უკან, ყანის კიდეზე, ცალუღელა ხარის მომცრო ურემი იდგა. ურმის ქვეშ, ბალახებზე, თოხი და ხის სამთითა ფიწალი შემოდეთ. თვით ყანა ავის თვალს არ ენახებოდა. მუქად ჩალურჯებული ღონიერი სიმინდი, რომლის მსგავსი მთელს კოლხეთის დაბლობზე არსად შეგვხვედრია, თითქმის მთელ მტკავლეზე ამოსცილებოდა მიწას და ნიავის ყოველ შემბერვაზე სამშად ბიბინებდა.

— ამ ნაკვეთში გუშინწინ გადმოვიდა, — ისე ზმადაღლა განაგრძო მდივანმა, თითქოს ნიე ბოკუჩავა აქ სადღაც ახლოსაა დამალული და არ უნდა, მას თავისი ნათქვამი გაგაგონოსო. — ტყის მხარეს, — მგელაძემ ხელი მარჯვნივ, ყანის გათოხნილ ნაწილისაკენ გაიშვირა. — ფერი არ მოსწონდა. გადმოვალ, ჯერ ამას გამოვთოხნი და მერე ისევ იქ მივბრუნდებიო. კარგი იყო, გვენახა. რა გაეწყობა, სხვა დროს. აბა, ბიჭი, მოაბრუნე!

მანქანა ადგილზე შემოტრიალდა და გეზი ისევ აბაშისაკენ აიღო. წინ ბრძელი და ძნელი გზა გვქონდა. როდესაც კოცობურის ხამნადირეო მეურნეობასა და ნოდიას ჭალას შუა, რამდენიმე წლის შემდეგ, რაინზე ანჯერის ხიდი გაიდება, ეს გზა ათჯერ უფრო მოკლე და კეთილმოწყობილი გახდება, ჯერ-ჯერობით კი „ანჯერის არქიპელაგი“ რაინონდან დიდ მანძილზე ედგა და იქამდე მიიწევდა დროის უსარგებლო ხარჯვას მოითხოვდა.

ამ ერთი თუ ორი საუკუნის წინ რაინონ მთის პირს მოპყვებოდა და ორი სამთავროს — გურიისა და ოდიშის ბუნებრივი საზღვარი იყო. დროთა განმავლობაში მდინარემ კალაპოტი შეიცვალა, აქეთ, სამეგრელოს ჭალები გადმოისაცვლა და ოდესღაც დადიანების კუთვნილი ანჯერი გურიის საპირზე დარჩა. ძნელია ახსნა, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ სათანადო ორგანოები, როდესაც ძველ ტრადიციას ანგარიშს გაუწიეს და მიუხედავად ბუნებრივი საზღვრის — რაინის გადმონაცვლებისა, „ანჯერი ეკუთვნის აბაშის რაიონს შეუნარჩუნეს. განა უფჯობესი არ იქნებოდა, ეს მიწა უმჯობესი მომიჯნავე ლანჩხუთის რაინონს მისცემოდა და წლების მანძილზე უპატრონობით არ გაგვრანებულიყო?

ახლა ამაზე მსჯელობა გვიანია და აღარც საჭიროა, ვინაიდან ანჯერის მიწები უკვე მოლიანად აითვისეს და ნამდვილ ბაღნარად აქციეს აბაშის რაინონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მაგრამ მაინც ძნელია, ცთუნებამ არ წაგიძღოს და ჩვენივე გუშინდელი უთაურობის გამო გულისტკივილი არ გამოთქვა.

ერთიმეორეზე წაბმული სოფლებში კაცის ჭაჭანება არ იყო. მინდვრის ძოძალებულ საბუშაოებს ყოველი სულდგმული გარეთ გამოეყვანა და ყანებისაკენ, ბოსტნებისა და პლანტაციებისათვის შეესია. თეთრპერანგა მთოხნელები მარჯვედ უსვამდნენ თოხს ნავარგებ სიმინდებში და ბრისაგან გახურებულ ფხვნერ მიწაში თითქოს ფეხების გასაჩრილებელ სველ სილას ეძებდნენ.

— რას უპირებთ ამ დენ სიმინდს?—მივმართე მე გურამ მგელაძეს. — ფასი მაინც აჭარდეს იმის შესაფერი, რაც მოყვანას წვალება უნდა. ღირს ასე ბევრი მიწისა და მუშახელის მოცდენა? საითაც გაიხედავ, სიმინდია...

— ეს, რასაც ხედავთ, მარტო სიმინდი რომ იყოს, მეც თქვენი აზრის ვიქნებოდი, — ცოტა არ იყოს ბუნდოვნად მიპასუხა გურამმა. — როგორ ატყობთ, ეს მართლა სიმინდია? — და ხელი თვალუწვდენელ სიმინდის ყანებისაკენ გაიშვირა.

— სიმინდია! — დაბეჯითებით, საკმაოდ გაკვირვებულმა მივუგე მე.

— მე კი ვამბობ, რომ ეს ხორცი და ძვრხეულია. მიმიხვდით? ჩვენ უკვე დავგეგმეთ ორი დიდი კომპლექსური მეურნეობა, მეძროხეობისა და მეხორცეობისა, ანჯერში. თუ შრომატევად და იაფად ღირებული სიმინდს რძედ და ხორცად აქცევ, ჩვენ სწორედ ასე გვაქვს განზრახული და ეჭვი არ შეგეპაროთ, ასეც იქნება, იგივე სიმინდი უაღრესად დიდ მოგებას მოგვცემს, მისი სახელმწიფო შესყიდვის ფასი — 13 კაპიკი — აღარც არაგის გაახსენდება. ორ-სამ წელიწადში, როგორც კი მეურნეობას გავმართავთ, რძესა და ხორცს იმდენს ვაწარმოებთ, მუშტარი საძებარი გვეგზიდება. ანჯერი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების უზარმაზარ, რეპუბლიკური მნიშვნელობის კერად უნდა ვაქციოთ. აი, ეს არის რაიონის უახლოესი ამოცანა. აქ თანდათანობით მოსახლეობაც გაჩნდება. საცხოვრებელ ბინებს ავაშენებთ. მეცხოველეობის კომპლექსურ მეურნეობებს დიდაღი მუშახელი დასჭირდება. მართალია, ამ ყარიის მეურნეობებში შრომის პროცესები მექანიზებულია, მაგრამ მექანიზმებსაც ხომ მომხმარებელი და პატრონი უნდა!..

გურამ მგელაძე ისე გაიტაცა ანჯერის მომავალზე ფიქრმა და ოცნებამ, რომლის სინამდვილედ ქცევა უკვე შარშან დაიწყო, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ გადავიარეთ საავტომობილო ხიდი რიონზე და მდინარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, ლანჩხუთის გზით, უკან როგორ დავბრუნდით. მალე ამ გზას ხრეშით მოკირწყლული, ოდნავ უფრო ვიწრო გზა გამოეყო, რომელიც გულმოდგინედ დამუშავებულ მინდვრებს შორის სოფელ კეთილარისაკენ მიემართებოდა.

სამი პაწაწინა სოფლისაგან შემდგარი კეთილარის კოლმეურნეობა ანჯერის ძველი მკვიდრია, მაგრამ ამჯერად, თუმცა ვაღერიან ესაკიას, კეთილარის კოლმეურნეობის გამრჯე თავმჯდომარეს, ზედმეტსახელად „ანჯერის მეფეს“ ისევ ეძახიან, აქ აბაშის რაიონის სხვა კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე მეტი არც სახნავ-სათესი მიწა აქვს და არც სათიბ-საძოვარი. ანჯერის მთელი მასივი აბაშის რაიონის ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გაინაწილა. ყოველი ნაკვეთი, ყოველი ეროკი მიწა გაპირფერებულია. ყოველმა ბრიგადამ, რგოლმა, ყოველმა ცალკეულმა მეურნემ იცის, სად რა, როდის და როგორ უნდა ბაღაკეთოს. ოდესღაც მიტოვებული, სანახევროდ დატბორილ-დაჭაობებული, ეკალბარდიანი და თხმელისა და ტირიფის ბუჩქნარით გადავლილი ანჯერის მიწას ეს მეორე წელიწადია, ასობით ადამიანი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აბავია. სადაც ახალი დატბორვის საშიშროება იყო, საზეიმოდ, ყველა წესისა და რიგის დაცვით, გაიჭრა საწრეტი არხები და მთელი უზარმაზარი ველის გასწვრივ გაყოლებულ მთავარ არხს შეუერთდა. მძლავრი მიწის სათხრელი ექსკავატორები დამატებით არხებს დღესაც თხრიან და არხის პირებს საკუთდაგულოდ ასწორებენ, ჩვენ ზედმეტმა წყალმა ფეხი არსად მოიკიდოს და ნათესებს არ გაუჯდეს.

პატარა სოფელ კეთილარის შემდეგ გზა მიწაყრილ ჯებირს გასდევს. მარჯვნივ, ჯებირს გადაღმა, დინჯად მიიწოლაზნება წყალუხვი რიონი, ხოლო ნაყოფიერ ტაფობში, მდინარესა და ჯებირს შუა, კეთილარის რამდენიმე ჰექტარ ფართობზე გაშენებული ბოსტანი ბიბინებს. ხახვი აქაც უამრავია. კვლებში ჭრელი თავსაფრით თავწყარული ან ნაბოსქელდაღილი ქალები ფუსფუსებენ. ბოსტანში ქალს საქმეს რა გამოუღევს! თუ გინდა, გაგახაროს, ჯერ შენ უნდა გაახარო.

შორს, ახლოს, მარჯვნივ, მარცხნივ, ზოგან თითო-ოროლა, ზოგან ათი-თხუთმეტი კაცი სამინდს თოხნის. ნაკვეთების უმეტესი ნაწილი უკვე გათოხნილია, მთოხნელები ახლა ველის სიღრმისაკენ მიწევენ...

— ეს გზა? — ვკითხე გურამ მგელაძეს, — გზა როდისღა გაკეთდა? მე მეგონა, აქ ურმითაც ვერ გავლენიდით, სადმე ჩავეფლობოდით.

— საფლობისა რა მოგახსენო, — სიცილით მიპასუხა მან და თითქოს და მხარდაჭერას ელისო, ალექსანდრე მოწერელიას გადახედა. — საგანგებოდ უნდა ეძინო. რაც შეეძება გზას, საავტომობილო გზების სამინისტროს უნდა ვუმადლოდეთ. რვა კილომეტრი უკვე მზად არის. წინ მუშაობენ და მეტრს მეტრი ემატება. წლეულს, თუ ამინდმა გვაცალა და არ დაიწყო თავისებური, კიდევ ბევრი მოვსწრებ.

— ანჯერის ხიდი? ვერ მივალთ იმ ადგილამდე?

— იქამდე ვერა. მანქანის გზა არ არის. ფეხით რომ წავიდეთ, უკვე გვიანია და დაღამებამდე უკან ვერ მოვბრუნდებით. წარმოიდგინეთ, ასე ძნელი და ხმირად შეუძლებელი იყო აქ მიმოსვლა, თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. დღეს რა გვეჭირს, ბატონები ვართ!

სვლა შევანელეთ და გზის მარჯვენა მხარეს, ლორთქო მწვანე ბალახით დაფარულ ჯებირისაკენ მივდექით. ხრეშით პრაქტიკულად დატვირთულმა ექვსმა ვეება „ზილმა“ გამშვებული ღმუილით გაიარა და გზაზე მტვრის კორიანტელი დასტოვა.

— ვემრიელი მტვერია, — რაღაც უცნაური ნიამოვნებით თქვა რაიკომის მდივანმა და თითქოს იმის დასტურად, რომ ამას მართლა გულით ამბობდა, ბენზინის სუნით გაღეღნილი ცხელი ჰაერი ხარბად შეისუნთქა. — რამდენი ვინატრეთ, სანამ პირველად ჩავყლაპავდით...

სახეზე შვებედ. სენტიმენტალურ გუნებაზე დამდგარიყო. ალექსანდრე მოწერელია გარინდებული იჯდა. სახეზე ღიმილის კვალი ანრდა. ვიდრე დაგიძრებოდით, მტვრის ღრუბლიდან ახალთ-ახალი „კოლხოზნიკი“ გამოძვრა და ბორძიკ-ბორძიკით პირდაპირ ჩვენ მოგვადგა საჭეს თვით „ანჯერის მეფე“ ვალერიან ესაკია უჯდა.

— იყავი, — მიაძახა მდივანმა და მანქანის კარი გააღო, როცა მან მანქანა გააჩერა და გადმოსვლა დააპირა, — მარტო ხარ? იური სად დაკარგე?

შინაურებისათვის იური, ნამდვილად კი გიორგი ჭანტურია, მშრომელთა დეპუტატების რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე, რაიკომის ბიუროს თავმჯდომარე, ანჯერის უბანს მოაბაგრა. ის ღამესაც ანჯერში ათევს და ყველა ადგილობრივ საკითხს აქვე, ადგილზე გაუჭიანურებლად და ზედმეტი დროის დაუკარგავად წყვეტს. თავმჯდომარე განათლებით აგრონომია, თანაც საკმაოდ გამოცდილი და მეურნეობის არც ერთი წვრილმანი არ გამოეპარება.

— ორტეზიულ ჭასთან დავტოვე. პატივცემულო, ტრაქტორი გაიყვანა და გადაბელილი თხმელები რომ იყო, იმათ ათხრევინებს, — მიუგო მდივანს ვალერიან ესაკიამ.

— ჩვენც იქით მივდივართ. ვოლგა თუ ვერ გაივლის, შენს მანქანაში და-დაგვსხი.

გიორგი, იგივე იური ჭანტურია დავით ცომაიას ბრიგადაში ვნახეთ. აქეთ სოიოს მბუდელმა ქალებმა მოგვასწავლეს. ნაკვეთებს შორის გზა ძმრალი და გატკეცილი იყო. რამდენჯერმე მივუხვიეთ-მოვუხვიეთ და ლარივით სწორი არხებით დიდრონ ოთხკუთხედებად დაყოფილ ნაკვეთში გავედით. რიონის მწვანე ჯებირი სადღაც შორს დარჩა. არხის იქით და აქეთ, ბოსაზღვრე ნაკვეთებში, ჩითილის მრგვალი მანქანები მუშაობდნენ. ეს მანქანა, რომელსაც წამყვანის გარდა ოთხი ხელისმომწყობი ქალი ემსახურება, ოთხრიგად რგავს ჩითილებს, მიწასაც აყრის და გახარებისათვის აუცილებელ წყალსაც იქვე აძლევს. კვლებს კიდევ ოთხი ქალი მოჰყვება და მანქანის თითებით ალაგალაგ მრუდად დარგულ ჩითილს ასწორებს, მზრუნველ დედასავით თავს დასტრიალებს.

ვინ მოსთვლის, რამდენი მუშახელი დასჭირდებოდა ამ ზღვა სამუშაოს შესრულებას, რამდენიმე ათას ჰექტარ მიწაზე ჩითილების სათითაოდ დარგვას, ეს გონიერი მანქანები რომ არ მოგვშველებოდნენ. თუ წარმოვიდგენთ დროს, როცა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა სხვადასხვა პირობებში მომუშავე იარაღ-მანქანების გამოშვებას აითვისებს, მინდვრის სამუშაოები გაიელვებით იოლი და ხარისხიანი გახდება და მუშახელიც ბევრი გამოთავისუფლდება მეურნეობის სხვა დარგებში გამოსაყენებლად. ეს მითუმეტეს საჭიროა კოლხეთის ნაჭაობარ მიწებზე, სადაც ხელით შრომა, საჭირო მექანიზაციის უქონლობის გამო ჯერ-ჯერობით თავი რომ ვერ დაგვიღწეია, განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ძვირიც ღირს...

როდისმე ხომ უნდა ვისწავლოთ შომჭირნედ და ანგარშიანად ცხოვრება, ხომ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახსრებს ამაოდ არ ვფანტავდეთ, კაპიკის ყაღრილ საქმეს ათჯზის და ასჯზის არ ვუსვამდეთ ჩვენსავე საკუთარ თავს.

აბა, ერთი დავფიქრდეთ და შინაურულად ვიკითხოთ: რა ეჭვდა თვითეული ლიტრი რძე ან კილოგრამი ხორცი მეჩაიეობის ისეთ განთქმულ კოლმეურნეობებს, როგორიც მაბარაძის რაიონის შრომისა და ნატანების კოლმეურნეობებია? სათანადო ციფრობრივი მონაცემების მოყვანის მაგიერ მე მხოლოდ იმას გავიხსენებ, რომ ასობით მაღალპროდუქტიული ძროხის საკვები ამ კოლმეურნეობებს ჩრდილო კავკასიიდან ჩამოაქვთ.

რად დაგვიწყებია შრომის განაწილების უმარტივესი კანონი, რომლითაც ყოველი საგვიმო ორგანო უნდა ხელმძღვანელობდეს? ვინ არ იცის, რომ ზემოთ ხსენებულ შრომისა და ნატანების კოლმეურნეობებს არავითარი პირობები არ გააჩნიათ მეცხოველეობის ეფექტურად, ვინაიდან როგორც ერთ, ისე მეორე კოლმეურნეობაში ყველა სავარგული ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურებს უჭირავთ? მაშ, თუ ასეა, საზოგადოებრივი მეცხოველეობა რის ბაზაზე უნდა განავითაროთ?

— ამის პირდაპირ და ნაუცბათევად მტკიცება ძნელია, — მითხრეს მე აბაშელმა ხელმძღვანელებმა. — კომპლექსური გამოანგარიშება არის საჭირო. მაგრამ მაინც გავბედავთ თქმას, რომ ანჯერში არსებული საკვები ბაზა და მეცხოველეობის განვითარების საერთო პირობები საშეალებას გვაძლევენ გავზარდოთ ჩვენი ვალდებულებები ამ დარგში და შემზეობა აღმოვუჩინოთ მეზობელ რაიონებს, თავი დაალწიონ ზედმეტად მძიმე ტვირთს...

ეს ლიტონი სიტყვა არ არის. იგი მოვლენათა სიღრმიდან მომდინარეობს. ცხოვრებამ თვით დააყენა ღღის წესრიგში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების ახლებურად, მთლიანად მეცნიერების მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვის საკითხი. ცხოვრებავ გვკარნახობს, რომ შრომის განაწილებისა და ორგანიზაციის სწორი მოწყობა ხვალინდელი წარმატების ერთადერთი საწინდარია.

ძვირფას მასპინძლებს კეთილაარში დავეშვიდობეთ და გზა ფოთისაკენ, საიდანაც საღამოს მატარებლით თბილისს უნდა გავმგზავრებულიყავი, ლანჩხუთის გზით განვაგრძეთ. გურამ მგელაძესა და იური ჭანტურიას აბაშისაკენ მიეჩქარებოდათ. რვა უკვე დაწყებული იყო, მათ კი აბაშამდე ითვქმის ასი კილომეტრი რჩებოდათ გასავლელი.

— რად გაჩუმდით? — მკითხა ალექსანდრე მოწერელიამ.

— ვფიქრობ. თქვენ რაღად გაჩუმებულხართ?

— მეც ვფიქრობ ალბათ ყველამ უნდა ვიფიქროთ. ცხოვრება წინ მიდის, ჩვენ როდი გველოდება. დროა საქმეზე გადავიდეთ. რას იტყვით?

— დროა! — მივუგე მე და საკუთარი ხმა ვეღარ ვიცანი. ეს თითქოს ვიღაც სხვამ თქვა და შიგ გაცილებით მეტი აზრი ჩაატია, ვიდრე ჩვეულებრივ ამ ერთ უბრალო სიტყვაში გულისხმობენ ხოლმე.

კოლხეთი — თბილისი.

ივნისი-ივლისი, 1974 წ.

საგასტროლოდ სოხუმში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი აფხაზეთში საგასტროლოდ 5 წლის წინათ იმყოფებოდა. გავიდა ხანი, და სოხუმს კვლავ ესტუმრა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომელსაც სოხუმელ მაყურებელთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. სოხუმელები მუდამ სიხარულითა და გულითადი სიყვარულით ხვდებიან თბილისელთა სპექტაკლებს.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარი, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მისმა მთავარმა რეჟისორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. ჭორდანიამ, — რომლითაც თეატრი აფხაზეთს ესტუმრა, მრავალფეროვანია. მაყურებელი აპჯერად მოისმენს და ნახავს ქართული, რუსული, უცხოური კლასიკის საუკეთესო ნიმუშებს.

11 ივლისს აფხაზეთის ფილარმონიის სახაფხულო თეატრში დაიწყო გასტროლები ქართული საოპერო მუსიკის მარგალიტით — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისით“. თეატრის საგასტროლო რეპერტუარში აგრეთვე ვერდის „ტრუბადური“, ვაგნერის „ლოენგრინი“, დონიცეტის „დონ პასკუალე“, პეროლეზის „მოასლე ქალბატონი“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, ს. რახმანინოვის „ძუნწი რაინდი“, მასკანის „სოფლის პატიოსნება“, ჩაიკოვსკის „იოლანტა“, ნაბალეტო სპექტაკლებიდან სოხუმელები „კვლავ იხილავენ დ. თორაძის „ეროდას“, მინკუსის „დონ კი ხოტს“. არანაკლებ საინტერესო იქნება ერთაქტიანი და კლასიკური ბალეტის საღამო.

აფხაზეთში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ სახელმძღვანელი მომღერლები, ღირიჟორები, ბალეტის მოცეკვავენი, რომელთაც მაყურებელი იცნობს და პატივს სცემს. მათ შორის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები პ. ამირანაშვილი, ო. დიმიტრიადი, ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი, ვ. ტატიშვილი, ლ. ჭყონია, ნ. ტუღუში, დ. მირცხულავა და სხვ.

თეატრის გასტროლები ივლისის ბოლომდე გასტანს. საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს ნახავენ არა მარტო აფხაზეთის მშრომელები, არამედ მრავალი ჩამოსული სტუმარი.

ი. გოგეჩიანი,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კაჟდებიან

ზუგდიდი. (სპეც. კორ.). შავიზღვისპირა ბავშვთა კურორტ ანაკლიაში მუშაობას შეუდგა განათლების მუშაკთა პროფკავშირის რუსპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკი 240 ბავშვისათვის. პიონერთა ბანაკს დაეთმო ანაკლიის საშუალო სკოლის ტიპიური შენობა-ნაგებობანი.

რაიონის კოლმეურნეთა შვილების მომსახურების მიზნით გაიხსნა აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკი ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატში 840 ბავშვისათვის.

კომგზიის საღამო

ბემგზამკრი. (საკ. კორ.). სოფელ ხალხინოს კინოთეატრის დარბაზში თავი მოიყარეს პოეზიის მოყვარულებმა, ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა, ლიტერატურის წრის წევრებმა, მშრომელმა ახალგაზრდობამ. გაიმართა პოეზიის საღამო, რომელზეც წაიკითხეს ბ. ტაბიძის, ბ. ლეონიძის, ალ. მირცხულავას, ს. ჩიქოვანის, ა. ტეარდოვსკის, ვ. მაიაკოვსკის, მ. ფოცხიშვილის, გრ. აბაშიძის, ლ. ასათიანის და სხვათა ლექსები.

კონცერტები მინდვრად

ბურჯაანი. (საკ. კორ.). ალოობა ძალაში შევიდა. ბევრი სოფლის მშრომელია ახლა მინდვრად და მარცვლეულის საბრმ კალოებზე.

ამ დღეებში სოფლის მშრომელებს ეწვივნენ ავტომხატვრული ბრიგადები. მინდვრად პირველები გავიდნენ რაიონის კულტურის განყოფილების მოძრაკი ავტოკლუბისა და ბიბლიოთეკის მუშაკები, რომლებიც სოფელ კარდასხის კულტურის სახლის ავტომხატვრულ ბრიგადასთან ერთად ეწვივნენ სოფელ ჩალაუბნის კოლმეურნეობის მინდვრებში მომუშავე მშრომელებს და გაართვეს საუბრები, კონცერტები, შემდეგ კი ეწვივნენ მელანის კოლმეურნეობის მინდვრებში მომუშავე მშრომელებს.



აბაშური ბოსტნეული თბილისელებს

15 ივლისს აბაშის რაიონიდან თბილისში მოვიდა 40 ავტომანქანა, რომლებითაც სოფლის მშრომელებმა ქალაქის მშრომელებს გამოუგზავნეს 120 ტონა ბოსტნეული — კიტრი, ჭარხალი, ხახვი, კომბოსტო. ეს პროდუქტები ძირითადად ჩამოიტანეს სოფელ 1-ლი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან, სოფელ კეთილაურის კოლმეურნეობიდან და სუჯუნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობიდან.

პირდაპირ საქართველოს სამხედრო გზიდან მანქანები დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში წავიდნენ და ბოსტნეულის მაღაზიებში მიიტანეს ახალი ბოსტნეული.

სურათზე: ბოსტნეულით დატვირთული მანქანები აბაშის რაიონიდან თბილისის დღეღამე მაზიოის მეგობრობის პროსპექტზე. — ფოტო ბინწაშვილის ფოტო.

ᲥᲐᲚᲙᲐᲑᲖᲠᲝᲗᲘ

საბჭოთა ნაკრები — მსოფლიოს ჩემპიონი

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ეროვნულ-ნაკრებმა ალბანეთი 92:60 (47:29) მოუგეს ქანდიოდ გუნდს, ხოლო აშშ-ის ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი, საბჭოთა სპორტსმენებს კარგი შანსი გაუჩნდათ ებრძოლათ ოქროს მედლებისათვის. ამისათვის მათ უნდა დაემარცხებინათ აშშ-ის ნაკრები 4 ქულის სხვაობით.

გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელიც პუერტო-რიკოს დედაქალაქ სან-ხუანში ვიროს გაიმართა, საბჭოთა კალათბურთელებმა შეძლეს რთული ამოცანის შესრულება. პირველმა ტაიმმა უპირატესობა არც ერთს არ მოუტანა — 55:55. შესვენების შემდეგ კი ჩვენმა სპორტსმენებმა შეძლეს ძნელი და საპატიო გამარჯვების მოპოვება — 105:94.

ამიგად, **სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი** გახდა. მეორე ადგილზეა იუგოსლავიის, მესამეზე — აშშ-ის გუნდი.

საინტერესოა, რომ საბჭოთა ნაკრების წევრები საუკეთესონი იყვნენ დაცვაშიც და თამაშიდან ტყორცნების სიზუსტეში — ჩაგდებული ბურთების პროცენტი უდრის 54. ე. ი. ყოველი მეორე ტყორცნა შედეგიანი იყო.

შედგა მსოფლიოს უძლიერეს მოთამაშეთა სიმბოლური „ხუთეული“: (სალნიკოვი, ა. ბელოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლეკსი (აშშ), ჯინანოვიჩი (იუგოსლავია), ბრაბენდერი (სპანეთი). ტურნირის საუკეთესო ცენტრალურ მოთამაშედ აღიარებულია ალექსანდრე ბელოვი, რომელიც 11 ქულით ფაუსწრთ იუგოსლავიელ ჩოსიჩს.

ᲥᲐᲚᲙᲐᲑᲖᲠᲝᲗᲘ

რამდენიმე სტრიქონით

ᲬᲧᲚᲙᲕᲔᲨᲘ ᲪᲣᲠᲪᲐ. მსოფლიოს რეკორდებით აღინიშნა ტალინში გამართული სსრ კავშირის პირველობა წყალქვეშა ცურვის ჩქარისნულ სახეობებში. თავი ისახელეს ლენინგრადელმა თამარ სამატო